Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

# შვეიცარიის თანამშრომლობის 2017-2020 წლების სტრატეგია სამხრეთ კავკასიისათვის



# სარჩევი


| | | |
|---|---|---|
| **შესავალი** | | **5** |
| **შემოკლებები** | | **6** |
| **მოკლე მიმოხილვა** | | **7** |
| **1.** | **კონტექსტი** | **8** |
| **2.** | **შვეიცარიასა და სამხრეთ კავკასიის რეგიონს შორის თანამშრომლობის მიმოხილვა** | **10** |
| **3.** | **ადრინდელი მიღწევები და გამოცდილება** | **11** |
| | 3.1. ეკონომიკური განვითარება და დასაქმება | 11 |
| | 3.2. მმართველობა და საჯარო მომსახურება | 12 |
| | 3.3. ადამიანის უსაფრთხოება და დაცვა | 13 |
| **4.** | **პროგრამების სამომავლო შედეგები** | **14** |
| **5.** | **2017-2020 წლების სტრატეგიული მიმართულებები და პრიორიტეტები** | **16** |
| | 5.1. ზოგადი მიზანი | 16 |
| | 5.2. ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური განვითარება | 17 |
| | 5.3. ეფექტური დემოკრატიული ინსტიტუტები, ადამიანის უსაფრთხოება და დაცვა | 18 |
| | 5.4. ხელოვნება და კულტურა | 19 |
| **6.** | **პროგრამის განხორციელება და მართვა** | **20** |
| **7.** | **მიმართულება და მონიტორინგი** | **21** |



მდ. აზატის ხეობა, სომხეთი

# შესავალი

სამხრეთი კავკასია ისტორიულად ყოველთვის წარმოადგენდა კომპლექსურ და სტრატეგიულად მნიშვნელოვან რეგიონს, რადგან აღმოსავლეთისა და დასავლეთის გზების გასაყარზე მდებარეობს. სამხრეთ კავკასიის ამჟამინდელი სამი რესპუბლიკა - აზერბაიჯანი, საქართველო და სომხეთი - მოქცეულია ევროპასა და აზიას, შავ და კასპიის ზღვებს შორის. რეგიონს, სადაც უმნიშვნელოვანესი ენერგეტიკული გზები გადის, ესაზღვრება რუსეთი, თურქეთი და ირანი. სამივე ეს ქვეყანა დიდი გეოპოლიტიკური მოთამაშეების ყურადღების ქვეშაა. საბჭოთა კავშირიდან გასვლის შემდეგ წარმოქმნილი რამდენიმე გადაუჭრელი ტერიტორიული დავის შედეგად რეგიონში არსებობს გაყინული კონფლიქტები, რაც ხელს უშლის განვითარებას და საფრთხის წინაშე აყენებს მთელი რეგიონის სტაბილურობას.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შვეიცარია სამხრეთ კავკასიის რეგიონის ცხოვრებაში უფრო მეტად ჩაერთო. ამ სამი ქვეყნის აქტიური დახმარების სურვილი შვეიცარიული სოლიდარობის ტრადიციიდან მომდინარეობს, თუმცა შვეიცარიის, როგორც ღრმად გლობალიზებული ქვეყნის უსაფრთხოებისა და კეთილდღეობისათვის მნიშვნელოვანია, რომ მის გარშემო იყოს სტაბილური გარემო. აქედან გამომდინარე, შვეიცარიამ ძლიერი დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარა სამივე ქვეყანასთან და თავისი წვლილი შეიტანა მათ განვითარებაში, კონფლიქტების თავიდან აცილებასა და მოგვარებაში. აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის მთავრობები შვეიცარიას სანდო პარტნიორად მიიჩნევენ, სხვადასხვა კონფლიქტის მოგვარების საქმეში შუამავლობისა და ჰუმანიტარული, ტექნიკური და ფინანსური საკითხების მოგვარებისას შეტანილი წვლილის გამო. გარდა ამისა, შვეიცარიას საქართველოში აქვს დაცვითი მანდატიც - შვეიცარიის საელჩო ქვეყანაში რუსეთის ინტერესებს წარმოადგენს.

შვეიცარია სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ცხოვრებაში 1988 წლიდან ჩაერთო, სომხეთში მომხდარი ძლიერი მიწისძვრის დროს, და მას შემდეგ ამ ურთიერთობამ უფრო ფართო და ხშირი ფორმა მიიღო. 1999 წელს შვეიცარიამ თბილისში გახსნა თანამშრომლობის რეგიონული ოფისი. სამხრეთ კავკასიისათვის შვეიცარიის თანამშრომლობის ახალი, 2017-2020 წლების სტრატეგიის მიზანია კიდევ ერთხელ დაადასტუროს შვეიცარიის მთავრობის მხარდაჭერა რეგიონის სტაბილურობისა და ზრდის მიმართ იმ შედეგების გაფართოებით, რომლებიც 2013-2016 წლების სტრატეგიის განხორციელებამ მოიტანა.

სამხრეთ კავკასიისათვის შვეიცარიის თანამშრომლობის 2017-2020 წლების სტრატეგია შეიქმნა შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC), შვეიცარიის ეკონომიკურ საქმეთა სახელმწიფო სამდივნოსა (SECO) და შვეიცარიის საგარეო საქმეთა ფედერალური დეპარტამენტის ადამიანის უსაფრთხოების განყოფილების (HSD) ერთობლივი ძალისხმევით. მისი მიზანია ყურადღებით განიხილოს პარტნიორი ქვეყნების საჭიროებები შვეიცარიის განვითარების პოლიტიკის პრინციპების ფარგლებში, რომელიც აღწერილია 2017-2020 წწ.-ის შვეიცარიის საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ გზავნილში. მისი მიზანია ხელი შეუწყოს გაეროს მიერ მიღებულ 2030 წლისათვის მდგრადი განვითარების დღის წესრიგს და იმავდროულად გაითვალისწინოს ადგილზე არსებული მუდმივად ცვალებადი და განვითარებადი გარემო. გარდა ამისა, რეგიონულ დონეზე კლიმატის ცვლილებისა და გადაუჭრელი კონფლიქტების მსგავსი საერთო გამოწვევების მოგვარების საჭიროებიდან გამომდინარე, შვეიცარია ქვეყნებს შორის ერთობლივ ინიციატივებსაც დაუჭერს მხარს.

ჩვენ გვჯერა, რომ შვეიცარიის თანამშრომლობის სტრატეგიაში აღწერილი აქტივობები ხელს შეუწყობს სამხრეთ კავკასიის მომავალ შედეგიან და მიზანმიმართულ განვითარებას და იმედი გვაქვს, რომ შემდეგი ოთხი წლის განმავლობაში პარტნიორობა კიდევ უფრო გაღრმავდება.

გასაცნობად წარმოგიდგენთ შვეიცარიის თანამშრომლობის 2017-2020 წლების სტრატეგიას სამხრეთ კავკასიისათვის.

ბერნი, 2016 წლის დეკემბერი

| | | |
|---|---|---|
| შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო | ეკონომიკურ საქმეთა სახელმწიფო სამდივნო | პოლიტიკურ საქმეთა დირექტორატი |
| მანუელ ზაგერი<br>გენერალური დირექტორი | მარი გაბრიელ ინაიხენ-ფლაიში<br>სახელმწიფო მდივანი | პასკალ ბერისვილი<br>სახელმწიფო მდივანი |

# შემოკლებები

| | |
|---|---|
| ADA | Austrian Development Agency - ავსტრიის განვითარების სააგენტო |
| ADB | Asian Development Bank - აზიის განვითარების ბანკი |
| CHF | Swiss franc - შვეიცარიული ფრანკი |
| DRR | Disaster Risk Reduction - კატასტროფების რისკის შემცირება |
| EBRD | European Bank for Reconstruction and Development - ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი |
| EEU | Eurasian Economic Union - ევრაზიის ეკონომიკური კავშირი |
| EIB | European Investment Bank - ევროპის საინვესტიციო ბანკი |
| EU | European Union - ევროკავშირი |
| FAO | Food and Agriculture Organization - სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია |
| FDFA | Federal Department of Foreign Affairs - საგარეო საქმეთა ფედერალური დეპარტამენტი |
| GEF | Global Environment Facility - გლობალური გარემოსდაცვითი პროგრამა |
| GIZ | Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაცია |
| HA | Humanitarian Aid - ჰუმანიტარული დახმარების ოფისი |
| HSD | Human Security Division - ადამიანის უსაფრთხოების განყოფილება |
| ICRC | International Committee of the Red Cross - წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი |
| IDP | Internally Displaced Person - იძულებით გადაადგილებული პირი |
| IFAD | International Fund for Agricultural Development - სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი |
| IFC | International Finance Corporation - საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია |
| IFI | International Financial Institution - საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტი |
| IMF | International Monetary Fund - საერთაშორისო მონეტარული ფონდი |
| NGO | Non-Governmental Organization - არასამთავრობო ორგანიზაცია |
| OSCE | Organization for Security and Co-operation in Europe - ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია |
| PEFA | Public Expenditure and Financial Accountability - საჯარო დანახარჯები და ფინანსური ანგარიშვალდებულება |
| PFM | Public Finance Management - საჯარო ფინანსების მართვა |
| SCO | Swiss Cooperation Office South Caucasus - შვეიცარიის თანამშრომლობის ოფისი სამხრეთ კავკასიაში |
| SDC | Swiss Agency for Development and Cooperation - შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო |
| SECO | State Secretariat for Economic Affairs - ეკონომიკურ საქმეთა სახელმწიფო სამდივნო |
| SME | Small and medium-sized enterprise - მცირე და საშუალო საწარმოები |
| UNDP | United Nations Development Programme - გაეროს განვითარების პროგრამა |
| UNHCR | United Nations High Commissioner for Refugees - გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი |
| UNWOMEN | United Nations Entity for Gender Equality and the Empowerment of Women - გაეროს ქალთა ორგანიზაცია |
| USD | United States Dollar - აშშ დოლარი |
| WB | World Bank - მსოფლიო ბანკი |
| WTO | World Trade Organization - მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია |

# მოკლე მიმოხილვა

საბჭოთა კავშირის დაშლიდან 25 წლის შემდეგ აზერბაიჯანი, საქართველო და სომხეთი კვლავაც დიდი გამოწვევების წინაშე დგანან, რაც მათი ეკონომიკური პოტენციალის სრულად განხორციელებას უშლის ხელს: მოუგვარებელი კონფლიქტები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში, ასევე, მთიან ყარაბაღში ზღუდავს ეკონომიკურ შესაძლებლობებს, ხოლო მმართველობაში არსებული პრობლემები აფერხებს რეგიონის კეთილდღეობას, სტაბილურობასა და უსაფრთხოებას.

წლების მანძილზე სამივე ქვეყანაში განხორციელდა რამდენიმე მნიშვნელოვანი რეფორმა და ეკონომიკური ვითარებაც გაუმჯობესდა, თუმცა მაინც დიდია სოციალური, ეკონომიკური და რეგიონული განსხვავებები და ამ ქვეყნებში არათანაბრად მიმდინარეობს პლურალისტურ, დემოკრატიულ სისტემებზე გადასვლის პროცესი. მთლიანად რეგიონზე მოქმედებს მმართველობაში ჯერ კიდევ არსებული პრობლემები, მათ შორის, არასაკმარისი გამჭვირვალობა და კანონის უზენაესობის სისუსტე, რაც სხვადასხვა ქვეყნის კონტექსტში სხვადასხვანაირადაა გამოხატული. შემაშფოთებელია მომავლის შესახებ პესიმისტური დამოკიდებულებისა და პოლიტიკური ლიდერებისა და ინსტიტუტების მიმართ უნდობლობის ზრდა. აქედან გამომდინარე, უმნიშვნელოვანესია შვეიცარიის მხარდაჭერის გაგრძელება, რათა რეგიონმა უფრო მეტად განავითაროს თავისი ადამიანური და სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალი.

შვეიცარიის თანამშრომლობის ახალი სტრატეგია სამხრეთ კავკასიაში ეფუძნება პარამეტრებს, რომლებიც 2017-2020 წლების შვეიცარიის საერთაშორისო თანამშრომლობის გზავნილშია აღწერილი და შეიქმნა ცალკეული ქვეყნების სამთავრობო პოლიტიკისა და განვითარების პრიორიტეტების გათვალისწინებით. ამ დოკუმენტით, რეგიონში შვეიცარიის მიერ დაგროვილი დიდი გამოცდილების გათვალისწინებით, განსაზღვრულია მომავალ ოთხ წელს სამხრეთ კავკასიაში შვეიცარიის თანამშრომლობის ჩარჩო. სტრატეგია, რომელიც შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC), ეკონომიკურ საქმეთა სახელმწიფო სამდივნოსა (SECO) და საგარეო საქმეთა ფედერალური დეპარტამენტის (FDFA) ადამიანის უსაფრთხოების განყოფილების (HSD) ერთობლივი ძალისხმევით შეიქმნა, ცდილობს რაციონალურ ჩარევას და მხარს უჭერს რეგიონულ მიდგომას, რომელიც მთლიანად სამხრეთ კავკასიას მოუტანს სარგებელს. ეს დახმარება იქნება ორი მიმართულებით:

### ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური განვითარება

გამოცდილებიდან გამომდინარე, შვეიცარია განაგრძობს ფართომასშტაბიან ეკონომიკურ განვითარებას, რომელიც ძირითადად მიმართული იქნება სასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვის განვითარებაზე, სასოფლო-სამეურნეო სექტორში არსებული მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერაზე, პირობების გაუმჯობესება და შესაძლებლობების მოძიებაზე, რათა გაძლიერდეს ქვეყნებს შორის ეკონომიკური ინიციატივები. გარდა ამისა, შვეიცარია მხარს უჭერს რეფორმებს, რომლებიც აუმჯობესებს ბიზნესგარემოს, ხელს უწყობს ფინანსებზე წვდომას და ეკონომიკურ განვითარებას.

### ეფექტური დემოკრატიული ინსტიტუტები, ადამიანის უსაფრთხოება და დაცვა

შვეიცარია ხელს შეუწყობს სამთავრობო ინსტიტუტების, მათ შორის, ადგილობრივი მთავრობებისა და საჯარო ფინანსების მართვის ეფექტურობას. უსაფრთხო და დაცული გარემოს უზრუნველსაყოფად გაგრძელდება გარემოს რისკების მართვა, რომლის ძირითადი მიზანია სოფელსა და მაღალმთიან რეგიონებში მდგრადი განვითარება. შვეიცარია ასევე აქტიურად ჩაერთვება კონფლიქტების ტრანსფორმაციის პროცესებში, კონფლიქტების საზღვრებს შორის დიალოგისა და კავშირების ხელშეწყობით. ეს ქმედებები მთავრობებს დაეხმარება უკეთ უპასუხონ მოქალაქეების საჭიროებებს და გააძლიერონ ანგარიშვალდებულება. მოქალაქეებსა და მთავრობებს შორის ნდობის გაზრდით შვეიცარია ცდილობს სამხრეთი კავკასია აქციოს ნაკლებად მყიფე და უსაფრთხო რეგიონად.

საერთო გამოწვევების გადასალახად, რეგიონული თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით, შვეიცარია მხარს დაუჭერს ინიციატივებს, რომლებიც მოიცავს მთელ რეგიონს და ქმნის ან ამყარებს კავშირებს სამ ქვეყანას შორის. აქ საქართველო შეასრულებს რეგიონული თანამშრომლობის დამაკავშირებელ მნიშვნელოვან როლს. პოლიტიკური შეზღუდვების გათვალისწინებით, სტრატეგია, უპირველეს ყოვლისა, მიმართულია ერთობლივი ინტერესების სფეროებზე, რომლებიც პოლიტიკურად ნაკლებად მგრძნობიარეა, მაგალითად, ადგილობრივი ეკონომიკური თანამშრომლობა და კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია. აზერბაიჯანში ძირითადად SECO იმუშავებს. SDC-ი შეძლებისდაგვარად მოიცავს აზერბაიჯანს სოფლის ეკონომიკური განვითარების, ქვეყნებს შორის ეკონომიკური ინიციატივებისა და ბუნებრივი რისკების მართვის რეგიონულ პროექტებში.

გენდერული თანასწორობის, დემოკრატიული მმართველობისა და კონფლიქტების მიმართ სენსიტიურობის პრინციპები გათვალისწინებულია შვეიცარიის მიერ მხარდაჭერილ ყველა პროგრამასა თუ პროექტში.

2017-2020 წწ.-ის პერიოდისთვის მთლიანად გამოყოფილია 67 მილიონი შვეიცარიული ფრანკი.

# 1 კონტექსტი



სამხრეთ კავკასიის ლანდშაფტი მრავალფეროვანია  და ხშირია ისეთი იზოლირებული ადგილები, როგორიც ეს აჭარული სოფელია…

სამხრეთი კავკასია, რომელიც შავი და კასპიის ზღვებს შორის მდებარეობს და რუსეთს, თურქეთს, ირანსა და ევროპას ესაზღვრება, ყოველთვის იყო მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური, სტრატეგიული ინტერესებისა და ეკონომიკური ღირებულების მქონე რეგიონი. მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნები სხვადასხვა კულტურისა თუ კლიმატის გავლენას განიცდიან და საგარეო პოლიტიკის განსხვავებული მიმართულებები აქვთ, მაინც ბევრი საერთო გამოწვევის წინაშე დგანან. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სამივე ქვეყანამ ერთნაირი სირთულეები გამოიარა, განსაკუთრებით, საბაზრო ეკონომიკასა და დემოკრატიაზე გადასვლის თვალსაზრისით, ჰქონდათ სერიოზული და ქრონიკული ნაკლოვანებები ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში, ტერიტორიული კონფლიქტები და უმცირესობებთან დაკავშირებული პრობლემები. დამოუკიდებლობიდან 25 წლის შემდეგ სამივე ქვეყანას ესაჭიროება რუსეთთან არსებული კავშირებისა და ურთიერთობების შეცვლა.

1991 წლიდან მოყოლებული, საგარეო პოლიტიკაში სამივე ქვეყანამ, მათი შიდა პოლიტიკიდან გამომდინარე, სხვადასხვა გზა გაიარა. 2003 წლიდან საქართველომ სტაბილურად აიღო დასავლური და ღია ბაზრისაკენ მიმავალი გეზი, რაც 2014 წელს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების დადებით, ასევე EFTA-სა და ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებით დასრულდა.

ევროკავშირთან მეგობრული ურთიერთობის აღდგენის შემდეგ სომხეთმა უფრო გააძლიერა კავშირები რუსეთთან და 2015 წლის დასაწყისში ევრაზიის ეკონომიკურ კავშირში (EEU) გაერთიანდა. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა ევროკავშირთან თანამშრომლობის შესაძლებლობებს კვლავაც ეძებს, მისი რუსეთზე დამოკიდებულება ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა. სომხეთისგან განსხვავებით, აზერბაიჯანმა მიუკერძოებელი პოზიცია შეინარჩუნა და განაგრძობს ევროპისათვის ნავთობისა და გაზის მიწოდებას, ამყარებს სტრატეგიულ კავშირებს თურქეთთან და ძლიერ ურთიერთობებს ინარჩუნებს რუსეთთან.

სამხრეთი კავკასია ყოველთვის იყო დაპირისპირებული მხარეების სამიზნე, რომლებიც მის კავშირებზე ზეგავლენის მოხდენას ცდილობდნენ. ამჟამად სამივე ქვეყანა დგას სუვერენიტეტის შენარჩუნებასთან დაკავშირებული გამოწვევების წინაშე, ვინაიდან დიდი ძალები ცდილობენ საკუთარი ვიწრო ინტერესების გატარებას, რის გამოც საერთაშორისო თანამშრომლობის მიღწევა უფრო რთულდება. ფაქტორები, რომლებიც შემდეგი ოთხი წლის განმავლობაში სამხრეთ კავკასიის განვითარებაზე მოახდენს გავლენას, არის: უკრაინის კონფლიქტი, რუსეთის ინტერვენცია სირიაში და მისი არაპროგნოზირებადი ურთიერთობა თურქეთთან, ირანის, როგორც რეგიონული ძალის რეპოზიციონირება, აშშ-ის, როგორც რეგიონული მოთამაშის გასვლა და რუსეთსა და დასავლეთს შორის არსებული დაძაბულობა.

ეს ძალები განსაკუთრებით რელევანტურია იმ მოუგვარებელი ტერიტორიული კონფლიქტებისათვის, რომლებიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წარმოიშვა. რუსეთი, მაგალითად, ცენტრალურ მოთამაშედ რჩება სხვადასხვა კონფლიქტის სტაბილიზაციისა და მოგვარების პროცესებში. 2008 წლის რუსულ-ქართული ომის შემდეგ რუსეთმა უფრო გააძლიერა თავისი გავლენა აფხაზეთსა და ცხინვალის/სამხრეთ ოსეთის რეგიონზე. ბოლო ხანებში აფხაზების ძალისხმევას, შეამცირონ საკუთარი იზოლაცია და ქართულ დაინტერესებას, ჩაერთოს ამ საქმეში, გარკვეული პრაგმატული დაახლოების  მოტანა შეუძლია სოციალურ და ეკონომიკურ სფეროებში. მეორე მხრივ კი, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მთიანი ყარაბაღის გამო არსებული კონფლიქტი ბოლო წლებში კიდევ უფრო დაიძაბა, რისი კულმინაციაც 2016 წლის აპრილის ოთხდღიანი ომი იყო. მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტი სრულმასშტაბიან ომში არ გადაზრდილა, სიტუაცია ჯერ კიდევ არაპროგნოზირებადია, ხოლო სტატუს-კვო - სულ უფრო არასტაბილური. რუსეთი სხვადასხვა მხარესთან მედიატორის მნიშვნელოვან როლს თამაშობს. მიუხედავად იმისა, რომ სომხეთისა და თურქეთის ურთიერთობაში არანაირი პროგრესი არ ყოფილა, ირანის გახსნამ, შესაძლოა, შემდეგი წლების განმავლობაში ახალი ეკონომიკური და პოლიტიკური შესაძლებლობები გააჩინოს.

სამივე ქვეყანაშია სიღარიბე გავრცელებული, რაც განსაკუთრებით მწვავედ შეინიშნება სოფლად. რეგიონის მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი სოფელში ცხოვრობს, სადაც ნაკლებადაა შემოსავლის და ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობები, შეზღუდულია წვდომა ფორმალურ დასაქმებაზე, ვინაიდან მოსახლეობა ჯერ კიდევ  პოსტსაბჭოთა ეკონომიკური კოლაფსიდან გამოს-

ვლას ცდილობს. სამივე ქვეყანაში ქალები არათანაბრად არიან წარმოდგენილი მმართველობის სტრუქტურებში, ნაკლებად მიუწვდებათ ხელი ფინანსებზე, განათლებასა და დასაქმების ბაზარზე, სამაგიეროდ, ატარებენ აუნაზღაურებელი ოჯახური შრომის არაპროპორციულ ტვირთს. გენდერული უთანასწორობა ჯერ კიდევ მყარადაა ფესვგადგმული სოციალურ და რელიგიურ ტრადიციებში.

ძლიერი ეკონომიკური ზრდის პერიოდში, რომელმაც დადებითი ეკონომიკური და სოციალური განვითარება განაპირობა, განსაკუთრებით ქალაქებში, რეგიონზე უარყოფითი გავლენა იქონია რამდენიმე გლობალურმა ეკონომიკურმა მოვლენამ და მიმდინარეობამ. ეს იყო კრიზისი რუსეთში, ნავთობისა და გაზის ფასების მკვეთრი დაცემა, საზღვარგარეთიდან გზავნილებისა და ექსპორტიდან მიღებული შემოსავლების კლება, ვალუტის გაუფასურება თუ მზარდი ინფლაცია. მარეგულირებელი რეფორმების, გაუმჯობესებული ბიზნესგარემოსა და ფართო მოხმარების საგნების ექსპორტის მეშვეობით ეს ზეგავლენა გარკვეულწილად შემცირდა. უმუშევრობის დაბალი დონე და შეუსაბამო საჯარო და ფინანსური ინფრასტრუქტურა ისევ აფერხებს საჯარო მომსახურების ეფექტურად მიღებას და ხელს უშლის ეკონომიკურ საქმიანობას, განსაკუთრებით კი - მცირე და საშუალო საწარმოების წარმოქმნას. სამივე ქვეყანას დაუყოვნებლივ ესაჭიროება რეფორმები და უფრო მეტი ძალისხმევა ეკონომიკის დივერსიფიკაციისათვის, განსაკუთრებით კი, სოფლად. ზრდის მნიშვნელოვანი პოტენციალი აქვს ისეთ სექტორებს, როგორიცაა სოფლის მეურნეობა, ტურიზმი და საინფორმაციო ტექნოლოგიები.

რეგიონში ძალიან ხშირია ბუნებრივი თუ ადამიანების მიერ გამოწვეული კატასტროფები, რაც ხელს უშლის ეკონომიკურ განვითარებას, განსაკუთრებით კი - მთიან რეგიონებში. ამგვარ დაუცველობას კიდევ უფრო აძლიერებს კლიმატის ცვლილებები, მიწის დეგრადაცია და ტყის განადგურება. კლიმატური ცვლილებების შედეგების დასაძლევად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყნების ერთობლივი და კოორდინირებული მოქმედება, რაც აქამდე ვერ მოხერხდა რეგიონში არსებული სხვადასხვა პოლიტიკური დაძაბულობის გამო.

აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოებისათვის აუცილებელია შემდგომი ინსტიტუციური განვითარება, რაც შეამცირებს ძალაუფლებისათვის ბრძოლის გავლენას და პოპულისტი კანონმდებლების რისკს. აუცილებელია გადამჭრელი ზომების მიღება კარგი მმართველობის, კანონის უზენაესობის, ძალთა გადანაწილებისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად. პოლიტიკური ლიდერებისა და შეზღუდული ეკონომიკური შესაძლებლობების მიმართ ხალხის მზარდი უკმაყოფილება რამდენჯერმე პროტესტშიც კი გადაიზარდა. მიუხედავად ამისა, სამოქალაქო ჩართულობა კვლავაც ძალიან დაბალია და პოლიტიკური ელიტაც მინიმალურად შეიცვალა. მართალია, საქართველოსა და სომხეთში არიან აქტიური სამოქალაქო ჯგუფები, მაგრამ მათი ინტერაქცია მმართველობის ორგანოებთან გა-


… და ასევე ქალაქები, როგორიცაა ბაქო - აზერბაიჯანის დედაქალაქი.

ცილებით ძლიერი უნდა იყოს. აზერბაიჯანში სამოქალაქო საზოგადოებას ჯერაც მკაცრად აკონტროლებს მთავრობა. აზერბაიჯანის ეკონომიკაში ამჟამად არსებულმა ვარდნამ შესაძლოა ინსტიტუციურ და ეკონომიკურ რეფორმებს გზა გაუხსნას. თუმცა, თანამშრომლობა ადამიანის უფლებების სფეროში, სავარაუდოდ, კვლავაც გამოწვევად დარჩება.

2017-2020 წლებში შვეიცარია სამხრეთ კავკასიაში საშუალოდ პოზიტიურ განვითარებას მოელის. სავარაუდოდ, რეგიონზე კვლავაც უარყოფითად იმოქმედებს გლობალური ეკონომიკური სტაგნაცია. რეგიონის გეოპოლიტიკური გარემო მეტწილად ისევ არაპროგნოზირებადი დარჩება, რამდენადაც ამ სამი ქვეყნის ორიენტაცია დასავლეთისკენ, რუსეთისა თუ სხვა ქვეყნებისაკენ ნაკლებად შეიცვლება. ტერიტორიული კონფლიქტებისათვის ყველაზე სავარაუდო სცენარია „მყიფე სტაბილურობა“, თუმცა მთიან ყარაბაღში გამორიცხული არაა პერიოდული სროლა და შეიარაღებული დაპირისპირება.

# 2. შვეიცარიასა და სამხრეთ კავკასიას შორის თანამშრომლობის მიმოხილვა



თხილის მწარმოებელ ისმაილს თავიდან ბევრი პრობლემა ჰქონდა, თუმცა დღეს იგი ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ბიზნესმენია აზერბაიჯანის ზაქათალაში.

1988 წლიდან მოყოლებული, შვეიცარიის თანამშრომლობამ დიდი წვლილი შეიტანა სამხრეთ კავკასიის სამ ქვეყანასთან პოლიტიკური კავშირების გაღრმავებაში. შვეიცარიას სამივე ქვეყანა მიუკერძოებელ და სანდო პარტნიორად მიიჩნევს, რაც ამ ქვეყნის ჰუმანიტარული, ასევე განვითარებასა თუ ფინანსურ თანამშრომლობაზე ორიენტირებული გრძელვადიანი დახმარებისა და მშვიდობის ხელშეწყობისაკენ მიმართული ძალისხმევის დამსახურებაა. SDC-ი იყო ერთ-ერთი პირველი, რომელმაც სოფლის ეკონომიკის განვითარებაში ჩადო ინვესტიცია, მის გამოცდილებასა და პროფესიონალიზმს ადგილობრივი მმართველობის რეფორმების, კატასტროფის რისკის შემცირებისა თუ შესაბამისი საცხოვრებლით დაკმაყოფილების სფეროში ანგარიშს უწევენ და დიდ პატივს სცემენ, აზერბაიჯანში SECO პროფესიონალური მიდგომების გამო მიიჩნევა ქვეყანაში ფინანსური და არასანავთობე სექტორის, ასევე მიკროეკონომიკური განვითარების მხარდამჭერად, რომელიც ხელს უწყობს საჯარო ფინანსების მართვის უფრო გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული სისტემის დანერგვას. HSD-ის ჩართულობამ რეგიონის კონფლიქტების ტრანსფორმაციასა და მშვიდობის დამყარებაში კიდევ უფრო განამტკიცა შვეიცარიის, როგორც ნეიტრალური და სანდო შუამავლის როლი.

სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანამ შვეიცარიისათვის დიდი პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა შეიძინა. საქართველოსა და რუსეთს შორის 2008 წელს დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტის შემდეგ შვეიცარია დათანხმდა შეესრულებინა შუამავლის როლი საქართველოსა და რუსეთს შორის: რუსეთის ფედერაციის ინტერესების სექცია თბილისში და საქართველოს ინტერესების სექცია მოსკოვში შვეიცარიის კონფედერაციის საელჩოების ნაწილია. 2011 წელს შვეიცარიამ ხელი შეუწყო საქართველოსა და რუსეთს შორის „საბაჟო ადმინისტრირებისა და სასაქონლო ვაჭრობის მონიტორინგის მექანიზმთან დაკავშირებული ძირითადი პრინციპების შესახებ“ შეთანხმებას, რამაც რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (WTO) გაწევრიანებას შეუწყო ხელი. გარდა ამისა, შვეიცარიელ დიპლომატს სთხოვეს ეხელმძღვანელა 2008 წლის კონფლიქტთან დაკავშირებული ევროკავშირის ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიისათვის. 2009 წელს ციურიხის პროტოკოლების ხელმოწერით შვეიცარიამ ხელი შეუწყო სომხურ-თურქული ურთიერთობების გაუმჯობესებას. მიუხედავად იმისა, რომ ამ პროტოკოლების შესრულება გადაიდო, ეს დოკუმენტები კვლავაც რჩება ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების აღდგენის მნიშვნელოვან ორიენტირად. ზოგადად, შვეიცარია განაგრძობს კონფლიქტურ რეგიონებში მედიატორის როლის შესრულებას უშუალოდ თუ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OSCE) მეშვეობით. ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებისა და კონფლიქტურ მხარეებს შორის დიალოგის პროექტების მხარდაჭერით შვეიცარია მუდმივად უწყობს ხელს კონფლიქტების მოგვარების პროცესს.

სამხრეთ კავკასიაში შვეიცარიის ჩართულობა 2016-2019 წლების შვეიცარიის საგარეო პოლიტიკის სტრატეგიას შეესაბამება, განსაკუთრებით, მის მესამე (მშვიდობა და უსაფრთხოება) და მეოთხე (მდგრადი განვითარება და კეთილდღეობა) პრიორიტეტებს. შვეიცარია კოორდინირებულად მუშაობს კავკასიაში მოქმედ სხვა დონორებთან და მისი საქმიანობა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების საჭიროებებთან შესაბამისობაშია. სამხრეთ კავკასიაში მოქმედი ძირითადი დონორებია ევროკავშირი, აშშ, გერმანია, შვედეთი, გაერთიანებული სამეფო, იაპონია და ავსტრია, ასევე გაეროს ორგანიზაციები (UNDP, UNWOMEN, FAO, IFAD, UNHCR), საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები (World Bank Group, IMF, EIB, ADB, EBRD) და ICRC. აზერბაიჯანი შვეიცარიის ამომრჩეველთა წევრია ისეთ ორგანიზაციებში, როგორიცაა მსოფლიო ბანკი (WB), საერთაშორისო მონეტარული ფონდი (IMF) და გლობალური გარემოსდაცვითი ორგანიზაცია (GEF). როგორც ენერგეტიკული რესურსების მიმწოდებელი, იგი შვეიცარიის მნიშვნელოვანი პარტნიორიცაა.

# 3. ადრინდელი მიღწევები და გამოცდილება

შვეიცარიის თანამშრომლობის 2013-2016 წლების სტრატეგია, რომლის ბიუჯეტიც 11 მილიონ შვეიცარულ ფრანკს შეადგენდა, დახმარების სამ ძირითად მიმართულებაზე იყო აგებული: 1) ეკონომიკური განვითარება და დასაქმება, 2) მმართველობა და საჯარო სამსახურები, 3) ადამიანის უსაფრთხოება და დაცვა.

## 3.1. ეკონომიკური განვითარება და დასაქმება




ვეტერინარიული აფთიაქები კარგადაა აღჭურვილი და დიდ დახმარებას უწევს ადგილობრივ ფერმერებს სხვადასხვა საქმიანობაში.

სოფლად ეკონომიკურ განვითარებაში მნიშვნელოვანმა ჩართულობამ, კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების ხელშეწყობით, დახმარება გაეწია სექტორის სხვადასხვა მოთამაშეს (მაგ., მასალების მიმწოდებლები, მომსახურების მიმწოდებლები, მწარმოებლები), ღირებულებათა იმ ჯაჭვში, რომელიც მოიცავს რძეს, ხორცსა და ხილს. ამის შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ფერმერული მეურნეობების ხელშემწყობი მომსახურების ხარისხი და მათზე წვდომა (იგულისხმება ვეტერინარიული აფთიაქები, ფინანსები და ცოდნა-გამოცდილების გავრცელება), რამაც, თავის მხრივ, გაზარდა ფერმერული მეურნეობებისა და საქონლის პროდუქტიულობა. მაგალითად, საქართველოში მარკირებული ყველის 53%-ს (დაახლ. 1,400 ტონა წელიწადში) პროექტის მონაწილეები აწარმოებენ. მთლიანობაში, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა 170,000-ზე მეტი ფერმერისა და ოჯახის შემოსავალი, შეიქმნა რამდენიმე ათასი სამუშაო ადგილი სასოფლო-სამეურნეო ბიზნესში. რამდენადაც ქალები უფრო აქტიურ როლს ასრულებენ ცხოველთა მოვლასა და ფერმების მართვაში, გაიზარდა მათი ჩართულობა ინვესტიციებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების პროცესში. ამან შედეგად მოიტანა მიგრაციის შემცირება. მაგალითად, სომხეთში, პროექტის მოქმედების რეგიონში, ორჯერ უფრო ნაკლები იყო მიგრაცია, ვიდრე სხვა რეგიონებში. აზერბაიჯანში მიღებული შედეგებია: რძის მწარმოებელ ფერმერთა და საწარმოთა შემოსავლის ზრდა, ვეტერინართა უნარების გაუმჯობესება, გაძლიერებული პროფესიული და საგანმანათლებლო დაწესებულებები, დასაქმების გაუმჯობესებული შესაძლებლობები და უკეთესი შესაძლებლობები რძის წარმოების ჯაჭვში. სამწუხაროდ, 2015 წელს SDC-ი იძულებული გახდა აზერბაიჯანში დაეხურა სასოფლო-სამეურნეო პროექტები, რადგან აზერბაიჯანის მთავრობამ რეგისტრაცია არ გაუგრძელა შვეიცარიელ პროექტის განმახორციელებელ პარტნიორს.



რძის ტექნოლოგიების, სურსათის უვნებლობის, ბიზნესისა თუ მარკეტინგის შესახებ ცოდნის გაუმჯობესებით საწარმოებმა წარმადობა გაიორმაგეს.

შვეიცარიის ძალისხმევით მოხდა აზერბაიჯანის ფინანსური სექტორის მოდერნიზაცია და დივერსიფიკაცია. ახალი ელექტრონული მომსახურების შემოღებამ, მაგ., ბიზნესის ონლაინ რეგისტრაციამ, მნიშვნელოვნად შეამცირა ხარჯები (წელიწადში 13 მლნ. აშშ დოლარი). ეროვნულმა საფოსტო სამსახურმა „აზერპოსტმა" მნიშვნელოვნად გაზარდა სოფლის მოსახლეობის წვდომა ფინანსებსა და მომსახურებაზე ისეთი ახალი სერვისების შეთავაზებით, როგორიცაა ფულადი გზავნილები და ფულის გადარიცხვა, ვალუტის გაცვლა და სადებეტო ბარათების გაცემა.

საქართველოში შვეიცარიამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა იძულებით გადაადგილებულ პირებთან (IDP), სოციალურად დაუცველ და ბუნებრივი კატასტროფებით დაზარალებულ პირებთან დაკავშირებული პოლიტიკის შემუშავებაში. ამის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთა საარსებო წყაროსა და საცხოვრებელთან დაკავშირებული საკითხები შევიდა დევნილთა საარსებო წყაროების სამოქმედო გეგმასა და დევნილთა მიმართ სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში. აქვე აღსანიშნავია, რომ შვეიცარიის დახმარებამ - კერძოდ, 181 ოჯახს მიეცა შემოსავლის გაზრდის ახალი შესაძლებლობები, ასევე მცირე სათემო ინფრასტრუქტურას (იგულისხმება ამბულატორიები და საბავშვო ბაღები), რომელიც 3,700 ოჯახზე მეტს ემსახურება, ჩაუტარდა რეაბილიტაცია - წვლილი შეიტანა საქართველოში სოციალურად დაუცველი ადამიანების ეკონომიკურ ინტეგრაციასა და კეთილდღეობაში.



აზერბაიჯანში სოფლად მაცხოვრებელ მოსახლეობას ახლა შეუძლია გადარიცხოს, გადაცვალოს და მიიღოს ფული. ამის საშუალებას „აზერპოსტის" ახალი ფინანსური მომსახურება იძლევა.

## 3.2. მმართველობა და საჯარო მომსახურება

მმართველობისა და საჯარო სამსახურის სფეროში შვეიცარიამ მხარი დაუჭირა რეფორმებს, რომელთა დახმარებითაც რეგიონულ და ადგილობრივ მმართველობით ორგანოებს გადაეცათ უფლებამოსილებები, მოქალაქეები უფრო აქტიურად ჩაებნენ დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, ხოლო სახელმწიფო რესურსების გამოყენება დაიწყო უფრო გამჭვირვალედ და ეფექტურად. შვეიცარიის დახმარების წყალობით საქართველოსა და სომხეთში ეროვნული, რეგიონული თუ ადგილობრივი ხელისუფლება უკეთ ახერხებს საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნასა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიებისა თუ შესაბამისი ბიუჯეტის ჩამოყალიბებას. ადმინისტრაციული მომსახურების მიწოდების მიზნით შეიქმნა და გაუმჯობესდა „ერთი ფანჯრის პრინციპი“ და ელექტრონული მმართველობის სისტემები. სომხეთში თემების გაზრდის პროცესის მეშვეობით, რომელსაც ხელს უწყობს შვეიცარია, უკვე 165,000-ზე მეტმა ადამიანმა მიიღო უფრო ხარჯთეფექტიანი და უკეთესი ხარისხის მომსახურება. ასევე გაიზარდა ქალთა მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესებში. აზერბაიჯანში საჯარო ინფრასტრუქტურის ინვესტიციის თანადაფინანსებამ და ტექნიკურმა დახმარებამ გააუმჯობესა საჯარო მომსახურების მიწოდება, მათ შორის, კომუნალური მომსახურება და უძრავი ქონების უფრო მარტივად რეგისტრაცია.



წყლის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და სამშენებლო სამუშაოების შედეგად აზერბაიჯანის სოფლის მოსახლეობას უკვე რეგულარულად მიეწოდება სასმელი წყალი.

სომხეთსა და საქართველოში შვეიცარიის მხარდაჭერამ კიდევ უფრო გააუმჯობესა ბუნებრივი კატასტროფების რისკების მართვა და მდგრადობა. სომხეთში 1,75 მილიონზე მეტმა ადამიანმა (მოსახლეობის 65%) ისარგებლა ბუნებრივ კატასტროფებზე რეაგირების უფრო პროფესიონალური მომსახურებით. პირველადი რეაგირებისთვის შვეიცარიამ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად შექმნა და მოამზადა რეგიონული სამაშველო ჯგუფები და უზრუნველყოფს მათ უწყვეტ პროფესიულ განვითარებას. სომხეთს შვეიცარია ასევე დაეხმარა შეექმნა, მოემზადებინა და აღეჭურვა გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სამსახურები და ხელახალი სერტიფიცირების სისტემა. საქართველოში შვეიცარიამ გააუმჯობესა ეროვნული და ადგილობრივი მთავრობების შესაძლებლობები ინტეგრირებულად მართონ ბუნებრივი კატასტროფების რისკები, რისი შედეგიც იყო უკეთესად დაცული ადამიანები და მათი ქონება. გარდა ამისა, შვეიცარია ჯგუფების გადამზადებითა და აღჭურვით ეროვნულ ხელისუფლებას დაეხმარა შეექმნა ქვეყნის მასშტაბით მოქმედი სამთო-სამაშველო სისტემა.



20,000-ზე მეტი მაცხოვრებელი სარგებლობს სომხეთის ქ. ალავერდში გახსნილი „ერთი ფანჯრის პრინციპით“ მომუშავე მომსახურებით.

შვეიცარიამ ასევე განაგრძო საქართველოს მოსახლეობის ხელმისაწვდომი (სოციალური) საცხოვრისით უზრუნველყოფა. პირველად მომზადდა სილაბუსები ისეთ თემებზე, როგორიცაა სოციალური სივრცე და ურბანული განვითარება, სოციალური საცხოვრისები, სოციალური საქმიანობა და უსახლკარობა, რაც საქართველოს სამი წამყვანი უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამაში ჩართეს. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ მიიღო ურბანული დაგეგმარების სტანდარტები და ხელმისაწვდომი საცხოვრისების არქიტექტურული სტანდარტები.

აზერბაიჯანში სამოქალაქო საზოგადოებასთან დაკავშირებით ვითარების გაუარესებამ შეაფერხა მნიშვნელოვანი წინსვლა ადამიანის უფლებებსა და დემოკრატიულ პროცესებში. აღსანიშნავია წინსვლა აზერბაიჯანში საჯარო ფინანსების მართვის სფეროში. შვეიცარიის დახმარებით გაძლიერდა გარე აუდიტის სისტემა - უფრო დივერსიფიცირებული გახდა გამოყენებული აუდიტის ტიპები და გაუმჯობესდა მისი მართვის ეფექტიანობა. ამოქმედდა გამართული ელექტრონული რეგისტრაციის პლატფორმა, რამაც გააუმჯობესა საკადასტრო და უძრავი ქონების რეგისტრაციის პროცესი.



საქართველოში აშენდა სოციალური საცხოვრისები, რათა ყველაზე დაუცველმა მოსახლეობამ გაიუმჯობესოს საცხოვრებელი პირობები.

## 3.3. ადამიანის უსაფრთხოება და დაცვა

შვეიცარიის დახმარებით  სამივე ქვეყანაში გაუმჯობეს-და კონფლიქტების შედეგად დაზარალებული მოსახლე-ობის შემოსავლები და დაცვა. შვეიცარიამ საქართველოსა და თვითაღიარებული აფხაზეთის რესპუბლიკის გამყოფი ადმინისტრაციული ხაზის ორივე მხარეს მუშაობის დრო-საც შეძლო შეენარჩუნებინა მიუკერძოებლობა. შვეიცარიის მხარდაჭერით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა კონფლიქტით დაზარალებული იმ 197 ოჯახის საცხოვრებელი პირობები, რომლებიც დაბრუნდნენ აფხაზეთსა თუ შიდა ქართლის რეგიონში (ცხინვალის/სამხრეთ ოსეთის მოსაზღვრედ). 158 ოჯახისათვის გაცემული ინდივიდუალური გრანტების მეშ-ვეობით გაუმჯობესდა ამ ადამიანების შემოსავლები, თვით-დასაქმება თუ მცირე ბიზნესის ზრდა. ორივე კონფლიქტურ ადგილას 4,000-ზე მეტმა ადამიანმა ისარგებლა სათემო ინ-ფრასტრუქტურის რეაბილიტაციით, იგულისხმება საბავშვო ბაღები, სკოლები და საირიგაციო სისტემები. UNHCR-ისა და ICRC-ის ყოველწლიური ანგარიშების მიხედვით, SDC-მ დიდი წვლილი შეიტანა აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის კონფლიქტებით დაზარალებული მოსახლეობის დაცვის საქმეში.



2009-2014 წლებში შვეიცარია სომხეთს დაეხმარა შეექმნა  ჯანდაც-ვის 540 მუშაკით დაკომპლექტებული 27 სამედიცინო ერთეული, რომლებიც ექვს რეგიონში ეხმარებიან სამაშველო ჯგუფებს. მათ პერსონალს სამაშველო ოპერაციის ადგილას გადაუდებელი დახ-მარების გაწევა შეუძლია.

რეგიონში მშვიდობის შესანარჩუნებლად შვეიცარია კვლა-ვაც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. 2014 და 2015 წლებ-ში, ეუთოს შვეიცარიისა და სერბეთის თავმჯდომარეობის დროს, ეუთოს სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში ეუთოს მხრიდან ჟენევის საერთაშორისო მოლა-პარაკების თანათავმჯდომარედ გამოდიოდა და ცდილობდა საქართველოს კონფლიქტებთან დაკავშირებული პრობლე-მებისთვის  „ნეიტრალური სტატუსის“  გადაწყვეტილებები მოეძებნა. შვეიცარიამ ასევე წარმოადგინა „სტრუქტური-რებული და ინტენსიური მოლაპარაკებების“ გეგმა, რომე-ლიც მთიანი ყარაბაღის კონფლიქტთან დაკავშირებული მრავლისმომცველი სამშვიდობო შეთანხმების მისაღწევად წინსვლას  ემსახურებოდა. 2016 წელს შვეიცარიამ განაგრძო სამხრეთ კავკასიაში ეუთოს სპეციალური წარმომადგენლის ფინანსური მხარდაჭერა, როცა თავმჯდომარის მოვალეობას გერმანია ასრულებდა. თანათავმჯდომარის მონაწილეობით ჟენევის საერთაშორისო დისკუსიები კონსტრუქციულ გა-რემოში გაგრძელდა და მხარეებმა გაწეული დახმარებით



სოფ. ცაიშში ირაკლი ქობალიას მეგობრებთან ერთად აქვს სათბური, სადაც გათბობისათვის ბუნებრივ მასალას იყენებენ. შვეიცარიის მიერ გაცემული მცირე გრანტის დახმარებით ირაკლიმ მოახერხა ბიზნესის გაფართოება და წარმოების 35%-ით გაზრდა.

შეძლეს გამოენახათ პრაგმატული გზები, როგორიცაა მაგა-ლითად, ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) ფარგლებში გამართული ყოველთვიური შეხვედრები ერგნეთსა და გალში. რეგიონული პროგრამის ფარგლებში HSD-მ მხარი დაუჭირა სამოქალაქო საზოგადო-ების ინიციატივებს, რომელმაც  ჟენევის დისკუსიები ადგი-ლობრივი და საერთაშორისო პარტნიორებით შეავსო და წინ წამოწია „კავშირის უწყვეტობის“  საკითხი  რეგიონში.



პროფესიული განათლება და კომპიუტერული კურსები მნიშვნე-ლოვანი შესაძლებლობაა აზერბაიჯანში იძულებით გადაადგილე-ბული და ლტოლვილი ქალებისა და გოგონებისათვის გაიუმჯობე-სონ საცხოვრებელი პირობები.

# 4. სამომავლო პროგრამების შედეგები



აჭარაში მდებარე ეს ხიდი წყალდიდობამ დააზიანა. წყალდიდობა და მსგავსი ბუნებრივი კატასტროფები ვნებს ადგილობრივ ინფრასტრუქტურას, სოფლებს წყვეტს ბაზრიდან და ანადგურებს ველ-მინდვრებს. მდინარის სიახლოვეს მდებარე ფერმერული მეურნეობების დასაცავად შესაბამისი დამცავი ღონისძიებები ტარდება.

მიუხედავად იმისა, რომ მოუგვარებელი კონფლიქტები და მხარეებს შორის გაჩენილი უნდობლობა გარკვეულწილად ზღუდავს რეგიონულ თანამშრომლობას, როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო აქტორები თანხმდებიან, რომ რეგიონში არსებული გამოწვევების დიდ ნაწილთან გამკლავება მხოლოდ თანამშრომლობის გზითაა შესაძლებელი. ამგვარი რეგიონული მიდგომის ჩამოყალიბება შესაძლებელია როგორც თანამშრომლობის არსებული მექანიზმების (მაგ., ვაჭრობის, ტრანსპორტისა თუ ენერგეტიკის სექტორებში), ასევე, სხვადასხვა სფეროში (მაგ., მდგრადი სამთო განვითარება და გენდერული თანასწორობა) არსებული აკადემიური თუ პროფესიული კავშირების დახმარებით.

შესაბამისად, შვეიცარიის საერთაშორისო თანამშრომლობის 2017-2020 წლების გზავნილი ითვალისწინებს სამხრეთ კავკასიაში რეგიონული მიდგომის გაძლიერებას. წინა წლების პრიორიტეტული სფეროები, როგორიცაა სოფლის ეკონომიკური განვითარება, კატასტროფების რისკების მართვა და კლიმატის ცვლილებასთან ადაპტირება, სამთავრობო რეფორმები (მაგ., დეცენტრალიზაციის პროცესი) და კონფლიქტების ტრანსფორმაცია, შვეიცარიის თანამშრომლობის 2017-2020 წლების სტრატეგიის ბაზას წარმოადგენს, რადგან ამ სფეროებს დიდი მნიშვნელობა აქვს რეგიონში და სამი ქვეყნის პოლიტიკურ პრიორიტეტებს ასახავს.

ქვეყნებს შორის კავშირების გასაღრმავებლად ინტეგრაციული პროცესების გამოყენება 1) გააძლიერებს სამხრეთ კავკასიის სამი ქვეყნის შესაძლებლობას გაუმკლავდნენ უარყოფით გარე გავლენებსა და შემოტევებს, 2) გაზრდის ეკონომიკურ თანამშრომლობას, მიუხედავად ქვეყნების განსხვავებული პოლიტიკური ორიენტაციისა და, შესაძლოა, 3) ხელი შეუწყოს ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის ნდობის გაზრდას. უფრო ძლიერი რეგიონული თანამშრომლობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას შეუძლია შედარებით განმუხტოს ქვეყნებს შორის არსებული პოლიტიკური დაძაბულობა. შვეიცარიას კარგი პოზიცია უჭირავს, რათა ხელი შეუწყოს რეგიონულ თანამშრომლობას, ვინაიდან დიდი ხანია ჩართულია სოფლის მეურნეობაში, ეკონომიკურ განვითარებასა და კატასტროფის რისკების მართვაში, აქვს სანდო პარტნიორის სახელი, ფიზიკურადაა წარმოდგენილი სამივე ქვეყანაში და აქვს ნეიტრალიტეტი, რომელსაც პატივს სცემენ.

იმის გამო, რომ აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის პირდაპირი თანამშრომლობა დიდი ალბათობით შეუძლებელია, საქართველო იქნება ბაზა, რომელიც გააძლიერებს თანამშრომლობას რეგიონში. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება ერთობლივი ინტერესების სფეროებზე, რომლებიც პოლიტიკურად საშუალოდ სენსიტიურია, მაგალითად, ეკონომიკური თანამშრომლობა (ძირითადად ვაჭრობა და მისი ხელშემწყობი პოლიტიკისა და ჩარჩოების შექმნა), ქალების გაძლიერება, კატასტროფების რისკების მართვა და კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია.

სოფლის მეურნეობაზე დაფუძნებული ეკონომიკური განვითარება კვლავაც შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს სთავაზობს სოფლად მაცხოვრებლებს. შვეიცარიის სისტემური მიდგომის წყალობით წარმატებით გაძლიერდა შერჩეული პროდუქციის ღირებულებათა ჯაჭვები. წახალისებული იქნება ისეთი რეფორმები, რომლებიც ხელს უწყობს ეკონომიკის დივერსიფიკაციას და ასუსტებს მონოპოლიას. არსებობს შესაძლებლობა, რომ კიდევ უფრო მეტად დაეხმარონ ჩარჩოპირობებს მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსებზე წვდომის გაზრდითა და მეწარმეობის წახალისებით, განსაკუთრებით კი - ქალებში. ქალთა გაძლიერებაზე მიმართული პროგრამები უზრუნველყოფს გენდერული თანასწორობის გაზრდას საზოგადოების განვითარებასთან ერთად. ადგილობრივ მთავრობას აქვს მნიშვნელოვანი როლი როგორც ეკონომიკურ განვითარებაში, ისე სოციალურ კეთილდღეობაში. შესაბამისად, ეფექტიანი და ეფექტური მუნიციპალური მომსახურების განვითარება კვლავაც ერთერთ უმნიშვნელოვანეს საკითხად რჩება. ზოგადად, უფრო მეტი ძალისხმევაა საჭირო პოლიტიკური დიალოგისა და ხელისუფლებასთან ახლო თანამშრომლობისათვის, როგორც ადგილობრივ, ისე ცენტრალურ დონეზე, რათა შედეგები იყოს უფრო მდგრადი და ფართო მასშტაბიანი.

შვეიცარია აზერბაიჯანში მხარს დაუჭერს ფინანსური ბაზრის ზედამხვედველობისა და საჯარო ფინანსების მართვის სფეროების გაძლიერებას, ვინაიდან კარგად დივერსიფიცირებული და კარგად მართული ფინანსური ინფრასტრუქტურა ეკონომიკური განვითარების ქვაკუთხედია. ამ მიმართულებით შვეიცარიის დახმარება შესაძლოა კიდევ უფრო გაიზარდოს, რათა ამ რეფორმის საშუალებით მოხდეს აზერბაიჯანში არსებული ეკონომიკური კრიზისის დაძლევა. გარდა ამისა, ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელია საჯარო და კერძო მხარეების დიალოგის გაძლიერების მექანიზმების შემოღება, მათ შორის, ქვეყნებს შო-

რის გამოცდილების გაცვლა. სამოქალაქო ორგანიზაციები და კერძო სექტორიც საჭიროებენ მხარდაჭერას, რათა უფრო აქტიურად მოხდეს ეკონომიკასა და მმართველობაში მიმდინარე რეფორმების დაცვა, მაგალითად, ქალების უფრო მეტად ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

რეგიონში ბევრგან არსებობს ბუნებრივი კატასტროფების საფრთხე. რისკების გათვალისწინებით დაგეგმვა და საფრთხეების გამოვლენა მდგრადი ეკონომიკური განვითარების აუცილებელ ფაქტორს წარმოადგენს, განსაკუთრებით კი, სამივე ქვეყნის სოფლებსა და მთიან რეგიონებში. საჭიროა რისკების ინტეგრირებულად მართვის შესაძლებლობების განვითარება როგორც ცენტრალურ, ასევე ადგილობრივ დონეზე. ბუნებრივი კატასტროფის რისკების მართვის გაერთიანებული ძალისხმევა ასევე აძლიერებს რეგიონული თანამშრომლობის მექანიზმებს. პროგრამების უწყვეტად განხორციელებისას ხდება მანამდე მიღწეული შედეგების გათვალისწინება და კლიმატის ცვლილებასთან ადაპტირების ძალისხმევასთან დაკავშირება. იმავდროულად გაგრძელდება მუშაობა აკადემიური სფეროს ქსელთან, რათა სამივე ქვეყანამ ერთმანეთს გაუზიაროს მიღებული გამოცდილება.

საქართველოს მთავრობამ გამოთქვა მზადყოფნა, იმოქმედოს აფხაზეთსა და ცხინვალთან/სამხრეთ ოსეთთან შესარიგებლად. საქართველოს მთავრობის ასეთი ნაბიჯი შესაძლოა მოიცავდეს სხვა დონორებთან პარტნიორობას და საკუთარი რესურსების ინვესტირებას ნდობის გაზრდისა და შერიგების ღონისძიებებში ე.წ. საზღვრის ორივე მხარეს. ამგვარი ინიციატივები, სავარაუდოდ, მოიცავს საზღვრის გასწვრივ სასოფლო-სამეურნეო და სავაჭრო მოქმედებას. თუ ამგვარი დამოკიდებულება შენარჩუნდება, მაშინ SDC-ს მიეცემა შესაძლებლობა, რომ თავისი ძალისხმევა აფხაზეთთან რეგიონული ეკონომიკური კავშირების გასაძლიერებლად მიმართოს, რაც დაემატება HSD-ის ჩართულობას კონფლიქტების ტრანსფორმაციის საქმეში.



სტრატეგია ითვალისწინებს ამ სამ ქვეყანას შორის ხიდების აგებას, მაგალითად, ცხოველთა იდენტიფიკაციისა და მიკვლევადობის რეგიონული მიდგომის მეშვეობით.

# 5. 2017-2020 წლების სტრატეგიული მიმართულებები და პრიორიტეტები

## 5.1. მიზანი

შვეიცარიის თანამშრომლობის 2017-2020 წლების სტრატეგია სამხრეთ კავკასიისათვის SDC-ის, SECO-სა და HSD-ის ერთობლივი დოკუმენტია. სტრატეგიის მიზანია: *„გაზრდილი რეგიონული დიალოგისა და თანამშრომლობის დახმარებით სამხრეთ კავკასიის ქვეყნები უკეთ უმკლავდებიან გარე ეკონომიკურ, პოლიტიკურ და ბუნებრივ დარტყმებს; მოსახლეობამ სარგებელი მიიღო ინკლუზიური ეკონომიკური განვითარებითა და უფრო მეტად დემოკრატიული და ლეგიტიმური ინსტიტუტებით; სამშვიდობო საქმიანობა დაეხმარა კონფლიქტების პოლიტიკური გადაწყვეტილებების მოძიებაში და წვლილი შეიტანა ადამიანთა უსაფრთხოებაში“.*

გენდერული თანასწორობა და დემოკრატიული მმართველობა ყველა პროგრამის საზიარო თემაა. ამ თემებზე ყურადღების გამახვილებით შვეიცარიის თანამშრომლობის სტრატეგია ცდილობს მოაგვაროს ისეთი ურთიერთდამოკიდებული საკითხები, რომლებიც ხელს უშლის მშვიდობასა და განვითარებას. მნიშვნელოვანი და ინკლუზიური ეკონომიკური განვითარებისათვის უსაფრთხო და უვნებელი გარემოა საჭირო, რასაც ემატება მყარი მმართველობითი სტრუქტურები. ასევე აუცილებელია სამომავლოდ კონფლიქტების თავიდან აცილება და ხელშეწყობა საჯარო მომსახურების უკეთესი ხარისხის მისაღებად. სტრატეგია შემდეგ ორ მიმართულებას გამოყოფს: 1) ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური განვითარება და 2) ეფექტური დემოკრატიული ინსტიტუტები, ადამიანის უსაფრთხოება და დაცვა.



დამუშავებული ფერმერული მიწა ნახიჩევანის (აზერბაიჯანი) გზაზე

## 5.2. ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური განვითარება

ამ მიმართულების მიზანია სამხრეთ კავკასიის ქალებმა და კაცებმა სარგებელი მიიღონ რეგიონში არსებული უფრო ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური განვითარებიდან. რეგიონში მნიშვნელოვან პრიორიტეტად რჩება სოფლის მეურნეობაზე დაფუძნებული ეკონომიკური განვითარება, რაც სოფლად ფართოდ გავრცელებული სიღარიბის აღმოფხვრის გზაა. ამ მიზნით შვეიცარიის თანამშრომლობა სამი მიმართულებით წარიმართება.

პირველი - ისევ გაგრძელდება სასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვის ხელშეწყობა, სადაც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სოფლებში მეწარმეობის განვითარებას და ქვეყნებს შორის გამოცდილების გაცვლასა და კავშირების დამყარებას. მაგალითად, საქართველოში მხარს დაუჭერენ ცხოველთა იდენტიფიკაციისა და მიკვლევადობის სისტემებს, ერთდროულად გაძლიერდება დანარჩენ ორ ქვეყანასთან თანამშრომლობა, რათა მსგავსი სისტემები აზერბაიჯანსა და სომხეთშიც შეიქმნას. ამგვარი ჰარმონიზებული სისტემების არსებობა ხელს შეუწყობს პირუტყვითა და ცხოველების საკვებით რეგიონულ ვაჭრობას. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა როგორც ქალების, ისე მოსახლეობის ყველაზე გაჭირვებული ფენების, მათ შორის, კონფლიქტით დაზარალებული ჯგუფების ჩართულობას. ეს ინკლუზია მიიღწევა ღირებულებათა ჯაჭვის სტრატეგიული შერჩევით, ასევე ამ კონკრეტულ ღირებულებათა ჯაჭვში ქალებისა თუ მამაკაცების წინაშე არსებული პრობლემების ანალიზის გამოყენებით.

მეორე - ქვეყნებს შორის ურთიერთობების (მაგ., ვაჭრობა) გაადვილების მიზნით გამოკვლეული იქნება ინტეგრაციული პროცესების პირობებისა და შესაძლებლობების ფარგლები. მთელი რეგიონის მასშტაბით სამხრეთ-ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთ-დასავლეთის თანამშრომლობის კრიტიკულ და სტრატეგიულ გადაკვეთად მიჩნეული იქნება პოტენციური ეკონომიკური ინტეგრაციის ტენდენციები.

მესამე - SDC-სთან ერთად SECO ხელს შეუწყობს ბიზნესგარემოს გაძლიერებას და დაფინანსების წვდომას იმ მცირე და საშუალო ბიზნესისათვის (მათ შორის სოფელში), რომლებსაც ზრდის მნიშვნელოვანი პოტენციალი აქვთ. ამ მიზნით ძალისხმევა მიმართული იქნება სასოფლო-სამეურნეო და კერძო სექტორის პოლიტიკაზე, სტანდარტების დადგენასა და განხორციელებაზე, ასევე, (სოფლად) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის დაფინანსების, ცოდნისა და ფინანსური განათლების მიღებაზე. SECO უფრო ღრმად ჩაერთვება ფინანსური ინფრასტრუქტურის განვითარებისა და დივერსიფიკაციის სფეროში, მაგ., მობილური გადახდებისა და საბანკო მომსახურების განვითარებისა თუ ქალებისათვის ფინანსურ მომსახურებაზე წვდომის გაზრდის მხარდაჭერაზე. გარდა ამისა, კერძო სექტორი მიიღებს დახმარებას, რომ აქტიურად დაიცვას ეკონომიკური საქმიანობის იურიდიული და ინსტიტუციური ჩარჩოს სანდოობა.



ადგილობრივი ფერმერებისათვის მატყლს აქვს მნიშვნელოვანი საექსპორტო პოტენციალი.



რძის პროდუქტების მცირე საწარმოებმა ადგილობრივი ბაზრისათვის მაგარი ყველის ახალი სახეობების შემატებით გაზარდეს და გაამრავალფეროვნეს ყველის წარმოება.



მაღალმთიანი აჭარიდან ფუტკარი ბათუმის (საქართველო) სასტუმროების ტერასებზე „დასახლდა“ და სტუმრებს თაფლით უზრუნველყოფს.

## 5.3. ეფექტური დემოკრატიული ინსტიტუტები, ადამიანის უსაფრთხოება და დაცვა

ამ მიმართულების მიზანია: სამხრეთ კავკასიის მოსახლეობამ ისარგებლოს უფრო ძლიერი და დემოკრატიული ინსტიტუტებით, იყოს დაცული და უსაფრთხოდ; მოქმედი დემოკრატიული მმართველობის მექანიზმები და ინსტიტუტები, ადამიანის უფლებების პატივისცემა, და უსაფრთხო და უვნებელი გარემო მდგრადი და ინკლუზიური განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა.

ეს მიმართულება ეკონომიკურ განვითარებას უზრუნველყოფს საჭირო მმართველობითი ჩარჩოს შექმნით და ამით ინკლუზიურ და მდგრადი ეკონომიკური განვითარების შემავსებელ მიმართულებად შეიძლება ჩაითვალოს. ამ მიმართულების ფარგლებში შვეიცარია შერჩევით ჩაერთვება თანამშრომლობის სხვადასხვა სფეროში.

ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერების მხარდაჭერით გაუმჯობესდება საჯარო ფინანსების მართვა, რაც გაზრდის სამთავრობო დანახარჯების და ინსტიტუტების გამჭვირვალობას და ეფექტურობას, განსაკუთრებით აზერბაიჯანში. სპეციფიკური საკითხებია ფინანსური ბაზრის რეგულირება და ზედამხედველობა, ასევე ვალების მართვა.

გაძლიერდება ადგილობრივი მთავრობების შესაძლებლობა ხელი შეუწყონ ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას, უზრუნველყონ შესაბამისი საჯარო მომსახურება და შექმნან მოქალაქეთა ჩართულობის საგარანტიო მექანიზმები (მაგ., საჯარო და კერძო სექტორს შორის დიალოგი). შვეიცარია მხარს დაუჭერს ინტეგრირებული განვითარების მიდგომას და კერძო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების უფრო ახლო თანამშრომლობას ადექვატურად ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების მიზნით. რეგიონის დონეზე მოხდება სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ადგილობრივ მმართველობებს შორის თანამშრომლობის შესაძლებლობების გამოვლენა, რათა გაძლიერდეს რეგიონული ეკონომიკური თანამშრომლობა და ადგილობრივი მმართველობისა და დეცენტრალიზაციის სფეროში გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება.

შვეიცარიის მიერ კატასტროფის რისკების მართვის ინსტიტუციონალიზაციაში შეტანილი წვლილისა და მიღებული გამოცდილების საფუძველზე, რისკების ინტეგრირებული მართვისა და კლიმატის ცვლილებასთან ადაპტირების მიზნით, შეიქმნება სტრატეგიული ფორმატი. ეს მიდგომა მიმართული იქნება სოფლებსა და მთიან რეგიონებზე და დაეხმარება ქვეყნებს შორის უკვე არსებულ აკადემიურ და სამოქალაქო კავშირებს, რომლებიც რეგიონული თანამშრომლობისა და დაცვის მიზნითაა შექმნილი. ეს ძალისხმევა გაზრდის ცალკეული ადამიანებისა და თემების უსაფრთხოებას, ასევე ინვესტიციებისა და ეკონომიკური განვითარების მდგრადობას.

ძირითადად HSD-ის პროგრამის ფარგლებში და SDC-ის შესაძლო ჩართვით აფხაზეთის ეკონომიკურ განვითარებაში გაგრძელდება დიალოგი, ნდობისა და კავშირების აღდგენა, ასევე კონფლიქტების მოგვარების პოლიტიკური გზების მოძიების ღონისძიებები.



საჯარო ფინანსების უკეთესი მართვა ხელს შეუწყობს აზერბაიჯანში უფრო ეფექტური და ანგარიშვალდებული სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბებას.



„ერთი ფანჯრის პრინციპი“ ერთი ადგილია, სადაც მრავალი სერვისია ხელმისაწვდომი. სომხეთის ბევრ მხარეში მოქალაქეებს ერთ ჭერქვეშ შეუძლიათ ქონების გადასახადის გადახდა, ნებართვებისა თუ ლიცენზიების მიღება, მუნიციპალიტეტის თანამშრომლებთან შეხვედრა.



აჭარის სოფ. ჯოყოში ხის ჯებირები აიგო, რათა მოსახლეობას უსაფრთხოდ გავლის საშუალება ჰქონდეს. აქამდე ამ მეწყერსაშიში ზონის მაცხოვრებლებს ვიწრო, დაუგებელი გზით უწევდათ გადაადგილება.

## 5.4. ხელოვნება და კულტურა

SDC-ის კულტურისა და განვითარების პოლიტიკის შესაბამისად, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ხელოვნებისა და კულტურის ხელშეწყობა რეგიონში შვეიცარიის ჩართულობის მნიშვნელოვანი ნაწილი იქნება. ხელოვნებისა და კულტურის გამაერთიანებელი ძალა კიდევ უფრო ღრმად იქნება შესწავლილი და გამოყენებული სტრატეგიის რეგიონული მიდგომიდან გამომდინარე. შვეიცარიის მიზანია შექმნას სივრცე და შესაძლებლობები, სადაც სამივე ქვეყნის ხელოვან ადამიანებს შეეძლებათ აჩვენონ თავიანთი ხედვა სამხრეთ კავკასიის შესახებ და ამით წვლილი შეიტანონ რეგიონის მომავალთან დაკავშირებულ დისკუსიაში. იმავდროულად, მოხდება თითოეული ქვეყნის კულტურის მხარდაჭერა.



თბილისის თანამედროვე ცეკვის ფესტივალზე შეიკრიბა უამრავი ხელოვანი რეგიონიდან თუ სხვა ქვეყნებიდან. ეს იყო კულტურული გაცვლისა და ახლის სწავლის უნიკალური შესაძლებლობა.

# 6. პროგრამის განხორციელება და მართვა

შვეიცარიის თანამშრომლობის 2017-2020 წლების სტრატეგია ერთგვარ ბაზას ქმნის სამხრეთ კავკასიაში მომუშავე შვეიცარიის მთავრობის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის გაერთიანებული ჩართულობისათვის. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა დაშვებების გამოცდას, რომ (1) ინტეგრაციულ პროცესებს შეუძლია რეგიონის დაცვა გარე შოკისგან, (2) არსებული ქსელის გამოყენებით უფრო კარგადაა შესაძლებელი რეგიონული დიალოგისა და თანამშრომლობის განვითარება. ამ მიზნით, რეგიონული თანამშრომლობის პოტენციალის თაობაზე ინტენსიური დიალოგი მიმდინარეობს ისეთ მსგავსად მოაზროვნე პარტნიორებთან, როგორიცაა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაცია (Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) და ავსტრიის განვითარების სააგენტო (ADA), ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციები, მაგ., გაერო, ბრეტონ ვუდსის ინსტიტუტები და ევროპის საინვესტიციო ბანკი.

პოლიტიკური კონტექსტისა და ქვეყნებს შორის არსებული შეზღუდვებიდან გამომდინარე, ამ რეგიონული მიდგომის დამაკავშირებელი საქართველო იქნება. შვეიცარია სხვადასხვა პარტნიორთან ერთად იმუშავებს მრავალფეროვანი ინსტრუმენტებისა (მაგ., მრავალმხრივ სააგენტოებში, ორმხრივ ინტერვენციებში, სამოქალაქო საზოგადოების მხარდამჭერ თუ კერძო სექტორთან დაკავშირებულ ინიციატივებში წვლილის შეტანით) და მოდულების (მაგ., ორმხრივი და რეგიონული პროექტები, გლობალური ინიციატივები, მრავალი დონორის მიერ დაფინანსებული და თემის ირგვლივ გაერთიანებული ფონდები) გამოყენებით, რათა შემცირდეს რისკი და გაიზარდოს ეფექტურობა. შვეიცარია იმუშავებს მსგავსი შეხედულების მქონე დონორებთან, რათა ხელი შეუწყოს რეფორმებს პოლიტიკის დიალოგისა და ერთობლივი ინიციატივების მეშვეობით და იმავდროულად, შეინარჩუნოს დამოუკიდებელი პოზიცია. მდგრადობის მიზნებიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ინტერვენციებისა და ქვეყნებში არსებული სისტემების გამოყენებას.

შვეიცარიის თანამშრომლობის 2017-2020 წლების სტრატეგიაში მიმართულებების რაოდენობა ორამდე შემცირდა, რათა შვეიცარიის ჩართულობა უფრო მიზანმიმართული იყოს და ზეგავლენაც უფრო გაძლიერდეს. მიუხედავად იმისა, რომ SDC-ის ჰუმანიტარული საქმიანობა 2016 წელს დასრულდა, ზოგიერთი აქტივობის გაგრძელება ისეთ სფეროებში, როგორიცაა კატასტროფების რისკების მართვა და კლიმატის ცვლილებასთან ადაპტირება, ასევე მუშაობა აფხაზეთის კონფლიქტურ რეგიონთან, უფრო კარგად მოერგება უკვე მიღწეულ დადებით შედეგებს და სამხრეთ კავკასიის სასარგებლოდ გამოიყენებს წლების განმავლობაში დაგროვილ საფუძვლიან ცოდნას.

2017 წლიდან აზერბაიჯანში, საქართველოსა და სომხეთში არსებული შვეიცარიის თანამშრომლობის ოფისები, რომლებიც უკვე ერთიანი რეგიონული ოფისის სახით მოქმედებენ, ადმინისტრაციულად გაერთიანდებიან შესაბამის ქვეყნებში მოქმედ შვეიცარიის საელჩოებთან. ამგვარი გაერთიანება უფრო გაზრდის მათ ეფექტურობას და უფრო ერთიანი ქოლგის ქვეშ მოაქცევს შვეიცარიის სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ ინტერვენციებს. ბაქოსა და ერევანში ეს დაწესებულებები უკვე ერთ შენობაშია, ხოლო თბილისში შესაბამისი ვარიანტი უახლოეს წლებში გამოიძებნება.

მნიშვნელოვან კომპონენტად რჩება უსაფრთხოება. საელჩოებისა და რეგიონული თანამშრომლობის ოფისის თანამშრომელთა შორის კულტურული და რეგიონული მრავალფეროვნება განიხილება, როგორც ქვეყანასა თუ რეგიონში არსებული ერთიანი კონტექსტის უკეთ გაგების საშუალება, განსაკუთრებით, კონფლიქტების მხრივ საფრთხილო მმართველობის პროცესში. მოხდება თანამშრომელთა არსებული შესაძლებლობების მორგება ახალი პროგრამის საჭიროებებზე, რაც გაჩნდება ჰუმანიტარული დახმარების დასრულების, პროგრამის ნაწილის გადატანისა და პორტფელის შერჩევითი გაზრდის შედეგად. სამივე ქვეყნის წარმომადგენლობაში პროგრამის განხორციელებას წარმართავენ თემატური ჯგუფები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ოფისებს შორის გამოცდილების გაზიარებას, უპირატესობებისა და თემების მიხედვით. ადამიანთა უსაფრთხოების მრჩეველის დანიშვნის შემდეგ HSD-ი უფრო გააფართოვებს შვეიცარიის წარმომადგენლობას რეგიონში.

# 7. მიმართულება და მონიტორინგი

მმართველი გუნდი, თანამშრომლობის რეგიონული წარმომადგენლის ხელმძღვანელობით, ძირითადად იმუშავებს თბილისიდან და ბაქოსა და ერევნის თანამშრომლებთან ერთად ზედამხედველობას გაუწევს პროგრამის განხორციელებას. სამივე ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები მუდმივი ზედამხვედველობის ქვეშ იქნება, როგორც ზოგადი პროგრამა, ისე კონკრეტული პროექტები, და იმუშავებს თანდართული გეგმის შესაბამისად (დანართი #3). განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა: 1) რეფორმების განხორციელებას და ხელშემწყობი გარემოს ჩამოყალიბებას, 2) სადავო ტერიტორიებსა და საზღვრისპირა რეგიონებში მაცხოვრებელ ეთნიკურ უმცირესობათა მდგომარეობას, 3) რეგიონული დიალოგისა და თანამშრომლობის სტატუსს. მუდმივად მოხდება შედეგების მონიტორინგი როგორც ეროვნულ, ისე რეგიონულ დონეზე. ასევე ყურადღება დაეთმობა გენდერული შეუსაბამობების გამორკვევასა და შემცირებას. სამივე ქვეყნის SDC-ის, SECO-ს და HSD-ის თანამშრომლები ერთ გუნდად გააგრძელებენ მუშაობას, სულ მცირე, წელიწადში ორჯერ გაიმართება ერთობლივად დაგეგმვისა და განხილვის სემინარები, რასაც დაემატება რეგიონული გამოცდილების გაზიარება და მიმართულების განსაზღვრის აქტივობები.

შვეიცარიის თანამშრომლობის 2017-2020 წწ.-ის სტრატეგიის ფარგლებში პროგრამებისათვის გამოყოფილია 67,2 მილიონი შვეიცარიული ფრანკი, რაც 2013-2016 წელს 103 მილიონ ფრანკს შეადგენდა (მენეჯმენტის დანახარჯების გამოკლებით, -35%). ეს თანხა არ მოიცავს მენეჯმეტის ხარჯებს, რაც უკვე აღარ იქნება აღმოსავლეთთან თანამშრომლობის ჩარჩოკრედიტის ნაწილი, მაგრამ ასახული იქნება FDFA-ის გლობალურ ბიუჯეტში, ქვეყნების წარმომადგენლობების მიხედვით. მთლიანობაში, SDC-ის წვლილი 48,2 მილიონი ფრანკი იქნება, SECO-ისა – 15 მილიონი, ხოლო HSD – 4 მილიონი.

ინფორმაცია ჩვენს სტრატეგიაში წარმოდგენილ დაგეგმილ ვალდებულებებსა და ოთხი წლის განმავლობაში გაცემასთან დაკავშირებით ინდიკატიურია. თანხის გაცემა დაკავშირებული იქნება ბევრ ფაქტორთან, როგორიცაა, პარტნიორი ქვეყნის ჩარჩოპირობები და შვეიცარიის პარლამენტის მიერ დამტკიცებული კრედიტების რაოდენობა.







კრედიტებზე წვდომა წარმმართველი ფაქტორია კერძო სექტორის, მათ შორის, სოფლისა და თვითდასაქმებული ოჯახების განვითარებისათვის.

## Imprint

Editors:
Federal Department of Foreign Affairs FDFA
**Swiss Agency for Development and Cooperation SDC**
3003 Bern, Switzerland
www.sdc.admin.ch

Federal Department of Economic Affairs, Education and Research EAER
**State Secretariat for Economic Affairs SECO**
3003 Bern, Switzerland
www.seco-cooperation.admin.ch

Federal Department of Foreign Affairs FDFA
**Directorate of Political Affairs DP**
3003 Bern, Switzerland
www.fdfa.admin.ch

Design:
SUPERSCRIPT GmbH, Julia Curty
2555 Brügg bei Biel, www.superscript.ch

Photos:
SDC, SECO, DP

Cover page:
Visual Communication FDFA

Specialist contacts:
Swiss Agency for Development and Cooperation SDC
Eurasia Division EuraD
Freiburgstrasse 130, 3003 Bern, deza@eda.admin.ch

State Secretariat for Economic Affairs SECO
Economic Cooperation and Development
Holzikofenweg 36, 3003 Bern, info@seco-cooperation.admin.ch

Directorate of Political Affairs DP
Bundeshaus West, 3003 Bern, pd@eda.admin.ch

This publication can be downloaded from the following websites:
www.sdc.admin.ch (heading "Publications")
www.seco-cooperation.admin.ch
www.eda.admin.ch/georgia
www.eda.admin.ch/armenia
www.eda.admin.ch/azerbaijan

Bern, February 2017